ახალი ხარაგაული

№449 (5) 14 აპრილი, 2022 წ.

ხარაგაულის მერმა 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო

9 აპრილის ტრაგიკული ღამიდან 33 წელი გავიდა. ეს თარიღი ქართველი ერის უახლეს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული, მაგრამ ამავე დროს საამაყო ფურცელია, რადგან ამ დღეს განვითარებული მოვლენების შედეგი გახლდათ ის, რომ ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოცხადდა.

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, რუსთაველის გამზირზე, მაშინდელი მთავრობის სასახლის წინ, ჯარითა და ტანკებით მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რომლის შედეგადაც 21 უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა,

უმეტესობა-ქალები, მათ შორის იყო ხარაგაულელი ელისო ჭიპაშვილი.

აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა, პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, საკრებულოს წევრებმა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და გაიხსენეს ის მძიმე წუთები, რომელიც ჩვენმა სამშობლომ გადაიტანა.

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი, რომელიც უშუალოდ იყო ამ პროცესების თანამონაწილე, ამბობს, რომ ეს იყო დღე, როდესაც ქართველი ერი ერთი მიზნისთვის- თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის-იბრძოდა. ,,1989 წლის 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში წითელი კალმით ჩაიწერა. იმ დღეს რუსთაველზე, ისევე როგორც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, მამაკაცებთან ერთად ქალებიც იბრძოდნენ. რაც მთავარია, მსხვერპლს, რომელიც მთელმა ქვეყანამ გაიღო, უშედეგოდ არ ჩაუვლია. ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. რა თქმა უნდა, ამაში იმ პირების უდიდესი წვლილია, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს. ვფიქრობ, დღეს თუ ჩვენ საქართველოს ხვალინდელი დღის უკეთესობისათვის ვიბრძვით, გარკვეულწილად 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის დამსახურებაა."-აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

ამავე დღეს 9 აპრილის მემორიალთან ხარაგაულის თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურმა მამა თომამ (ლაცაბიძე) დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა.

მხატვრული კომპოზიცია წარმოადგინეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებმა. წაკითხულ იქნა სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები და მუსიკალური ნომრები.

9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

კობა ლურსმანაშვილმა თათბირზე სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამაზე ისაუბრა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან თათბირი გამართა, რომელსაც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და მოადგილე დავით დევდარიანი დაესწრნენ.

შეხვედრაზე კობა ლურსმანაშვილმა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამაზე.

მერმა წარმომადგენლებს პროექტის შესახებ იმ ოჯახებთან კომუნიკაცია დაავალა, სადაც ორზე მეტი შრომისუნარიანი პირი ცხოვრობს და ფულად დახმარებას იღებს.

,,ვფიქრობ, პროექტი მნიშვნელოვანია და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ინტერესებზეა მორგებული. მათ შესაძლებლობა ეძლევათ, სახელმწიფო შემწეობასთან

ერთად ჰქონდეთ სამსახურიც, რაც ნამდვილად მისასალმებელია. გარდა ამისა, დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს ოთხი წლის განმავლობაში სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება." - განმარტა მუნიციპალიტეტის მერმა.

ამავე შეხვედრაზე კობა ლურსმანაშვილმა წარმომადგენლებთან ერთად, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში დაგეგმილ პროექტებზე იმსჯელა. მისივე თქმით, აღნიშნული პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს და ჩვენი მიზანია, ის 188 პროექტი, რომელიც მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად შეირჩა, ვადებში დროულად და ხარისხიანად შესრულდეს.

თათბირზე აღინიშნა, რომ ხარაგაულის მერია რეგიონული განვითარების სამინისტროდან დაფინანსების მეორე ეტაპის მიღების მოლოდინშია, პრიორიტეტი კვლავ სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება იქნება.

აქვე გეტყვით, რომ ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონული განვითარების ფონდიდან, პირველ ეტაპზე 2 775 762 ლარი გამოეყო, რომლითაც 19 პროექტი დაფინანსდა.

შეხვედრაზე მერის თანაშემწემ, იუზა (ვალოდა)კელენჯერიძემ, ხარაგაულში მევენახეობა - მეღვინეობის განვითარების პერსპექტივებზე გაამახვილა ყურადღება. ბ-ნმა იუზამ მერის წარმომადგენლებს მოუწოდა, გაავრცელონ ინფორმაცია სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებით, რათა მაქსიმალურად მოხდეს იმ რესურსის გამოყენება, რასაც სახელმწიფო მოსახლეობას სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის სთავაზობს.

თავის მხრივ, წარმომადგენლებმა სოფლებში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. შეხვედრა, ძირითადად, კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მერმა კონკრეტული პრობლემები მოისმინა დაერთობლივ ფორმატში მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს.

ხარაგაულში ტყის გაყინული სოკოების საწარმო ამოქმედდება

იმერეთის რეგიონში საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, გამარჯვებულები გამოვლინდნენ. ღონისძიებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ 100 000-ლარიან საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს შორის დასახელდა ინოვაციური იდეა- ,,ტყის გაყინული სოკოების საწარმო" - რომელიც ხარაგაულში განხორციელდება. ბიზნეს მოდელი, ქვეყანაში გამოუყენებელი ტყის რესურსებით, ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის ახალი პროდუქტის შექმნას გულისხმობს.

მუნიციპალიტეტის მერმა შეხვედრაზე ხაზგასმით განმარტა, რომ ხარაგაულის განვითარებისათვის ასეთი პროექტების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია.

„ვულოცავ კომპანიას საგრანტო კონკურსში გამარჯვებას. მიმაჩნია, რომ ასეთი პროექტები ხარაგაულისთვის ძალიან მომგებიანია. ეს ადგილობრივებს საშუალებას მისცემს, დაკავდნენ იმ საქმით, რაც კანონით არაა აკრძალული. GITA - ს კონკურსი კვლავ გრძელდება და მასში ყველა ხარაგაულელს შეუძლია თავისი ინოვაციური იდეებით ჩაერთოს. ასეთი არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა, რომელიც განვითარებაზე, ინოვაციური იდეების მხარდაჭერასა და ბიზნეს სექტორის ხელშეწყობაზე არის გათვლილი."-აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

შპს „ფრიზთის" თანადამფუძნებელი ირაკლი დოლიძე ამბობს, რომ მოგებული გრანტით სულ მალე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ტყის გაყინული სოკოების წარმოებას დაიწყებენ.

,,ჩვენი გუნდი ტყის პროდუქტებისა და სამკურნალო მცენარეების ექსპორტზე მუშაობს. უკვე ორი წელია, ხარაგაულში ჩვენი საწარმო გვაქვს, რომელიც ახალი სახეობის - გაყინული ფოთლების ჩაის აწარმოებს. წლეების განმავლობაში საერთაშორისო ბაზრებზე დიდი დაინტერესება იყო ტყის სოკოების მიმართ და ჩვენ ვაკვირდებოდით, რა რესურსი გვქონდა საქართველოში, მათ შორის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. გეტყვით, რომ აუთვისებელია დიდი რაოდენობით ტყის სოკო და მიღებული გრანტით ხარაგაულში დავიწყებთ ტყის გაყინული სოკოების წარმოებას. პროდუქტის რეალიზაცია მოხდება, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ექსპორტზეც გავიტანთ." - განაცხადა ირაკლი დოლიძემ.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროგრამა ევროკავშირის საგრანტო დაფინანსებით, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში საქართველოს ოთხ რეგიონში (იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი) ხორციელდება.

ხარაგაულის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია იწყება

ხარაგაულის მერიამ, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებლად, დაბა ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია წარადგინა. საბჭომ აღნიშნული პროექტი მოიწონა და სამშენებლო სამუშაოებისათვის თანხების გამოყოფა უახლოეს პერიოდში მოხდება. ამ ეტაპზე კი, ხარაგაულის მერიის დაფინანსებით, წინასაპროექტო სამუშაოები მომზადდა, რომელიც შპს „პროჯექტ კომპანიმ" განახორციელა.

ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, კინოთეატრში მოეწყო ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის პროექტის პრეზენტაცია, რომელზეც დასწრების შესაძლებლობა ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდა. მერის პოზიციაა, რომ პროექტირების პროცესში დაცული იყოს ღიაობის პრინციპი და საზოგადოებას

მიეცეს შესაძლებლობა თავისი ხედვები და შენიშვნები წარმოადგინოს.

შეხვედრაზე კომპანია ,,პროჯექტ კომპანის" წარმომადგენლებმა გიორგი ჭყოიძემ და დავით ჩხეიძემ დეტალურად ისაუბრეს პროექტის კონცეფციასა და მის არქიტექტურულ მოდელზე. ასევე დამსწრე საზოგადოებამ იხილა ვიდეოპრეზენტაცია, რომელზეც დეტალურად იყო წარმოდგენილი, თუ როგორი იქნება რეაბილიტირებული პარკის იერსახე. აღინიშნა, რომ აქ განთავსდება საბავშვო ატრაქციონები, მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები და გარე განათებები, ასევე სხვადასხვა ტიპის სპორტული, კულტურული და რეკრეაციული სივრცე. გარდა ამისა, პარკის მთელ ტერიტორიაზე ჩატარდება გამწვანებითი სამუშაოები და გაკეთდება მცირე ზომის კაფე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დამონტაჟდება ვიდეოკამერები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვანდალიზმის ფაქტები.

შეხვედრაზე კობა ლურსმანაშვილმა პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განმარტა, რომ იგი მზადაა, მოუსმინოს საკითხით დაინტერესებულ პირებს და შესაძლებლობების ფარგლებში მიიღოს და გაითვალისწინოს მათ მიერ წარმოდგენილი შენიშვნები თუ რეკომენდაციები.

,,ხარაგაულის ცენტრალური პარკის მოწყობა და გალამაზება პრიორიტეტია ჩვენთვის, რადგან ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ხარაგაულელებისათვის. 60-იან წლებში იქნა აღნიშნული სკვერი რეაბილიტირებული და, თავისთავად ცხადია, გასაკეთებელი ძალიან ბევრია. ახლა ფუნდამენტურად მოხდება ყველა სამუშაოს ჩატარება, რაც ძალიან მიმზიდველს გახდის პარკს, როგორც ადგილობრივებისათვის, ასევე - სტუმრებისათვის. რაც უმთავრესია, ეს იქნება ყველა სეგმენტ-ჯგუფზე გათვლილი და ყველა თაობისათვის სასიამოვნო გარემოს მატარებელი პარკი. გვიხარია და გვსიამოვნებს, რომ ჩვენ შევძელით აღნიშნული პროექტის სისრულეში მოყვანა."-განაცხადა კობა ლურსმანაშვილმა.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

აუტიზმის საერთაშორისო დღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტი შეუერთდა



2 აპრილს მსოფლიოში აუტიზმის საერთაშორისო დღე აღინიშნება, რომლის მიზანი აუტიზმის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ამ სტატუსის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების დაცვა და რეალიზაციაა. ხარაგაულში აუტისტური სპექტრის მატარებელი ორი ბავშვი ცხოვრობს, რომლებსაც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ესტუმრა.

,,თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა, ვიზრუნოთ ამ ადამიანების ჯანმრთელობის, განათლებისა და სხვა უფლებების ყოველმხრივ დაცვაზე.“ - აღნიშნა შეხვედრაზე მერის პირველმა მოადგილემ.

ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაციით, მერიის სოციალური პროგრამებიდან აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს ფულადი თანხა ჩაერიცხებათ.

შეგახსენებთ, რომ აუტიზმი მიეკუთვნება ნეიროგანვითარებითი დაავადებების ჯგუფს და ხასიათდება სოციალური ურთიერთობების, კომუნიკაციისა და ქცევის სირთულეებით. ის თანაბრადაა გავრცელებული ყველა რასის, ეროვნების, რელიგიური მრწამსისა და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანებში.

ხარაგაულის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია იწყება

დასაწყისი ▶ 1 გვ.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის სავარაუდო ღირებულება მილიონ 500 ათასი ლარი იქნება. პროექტი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე წელს ხარაგაულში სრიგპ პროექტის ფარგლებში ოთხი პროექტი განხორციელდება.

ამჟამად მიმდინარეობს ხუნევის ბაღის მშენებლობა- პროექტის ღირებულება 619 170 ლარია;

უახლოეს დღეებში გაფორმდება ხელშეკრულება კომპანიასთან, რომელიც დევების ქანდაკებისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციას განახორციელებს. სამუშაოებისათვის 282 000 ლარი დაიხარჯება;

ტენდერი ასევე დასრულებულია სოფელ მიროწმინდაში წმინდა ნიკოლოზის ტაძართან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის პროექტზე, რომელზეც 250 ათასი ლარია გათვალისწინებული.



ასეთი იქნება რეაბილიტირებული ხარაგაულის ცენტრალური პარკი. (ფოტოზე პარკის ტერიტორიის ნაწილია წარმოდგენილი).

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი სოფელ უბისაში უკრაინელი კოსტენკოების ოჯახს ესტუმრა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი სოფელ უბისაში უკრაინელი კოსტენკოების ოჯახს ესტუმრა და მათ პირველადი მოხმარების ნივთები და საკვები პროდუქტები გადასცა. ოჯახს ასევე გადაეცა ფულადი სახის შემოწირულობა, რომელიც მერიის საჯარო მოხელეებისა და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ჩართულობით შეგროვდა.

კოსტენკოები საქართველოში ტურისტული ვიზიტით იმყოფებოდნენ, თუმცა უკრაინაში განვითარებული საომარი მოქმედებების გამო, დროებით დარჩენამ მოუწიათ და ამ ეტაპზე სოფელ უბისაში, მასპინძელ ოჯახში, ცხოვრობენ.

ცხრა წლის ვლადიმერ კოსტენკო უბისის საჯარო სკოლის მე-4 კლასში ჩაირიცხა. მას სკოლაში მეგობრული ატმოსფერო დახვდა. ამბობს, რომ ახალ გარემოს უკვე შეეჩვია და თავს კარგად გრძნობს.

მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, მსგავსი ტიპის აქციები სამომავლოდ კვლავ გაგრძელდება.

,,სოფელ უბისაში გვყავს ოჯახი უკრაინიდან, ისინი საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ და სამშობლოში დაბრუნება ვეღარ შეძლეს. ხარაგაულელები, მერია, საკრებულო, საგანმანათლებლო რესურსცენტრი და ა(ა) იპ-ები მაქსიმალურად არიან მობილიზებული, მათ მზრუნველობა და ყურადღება არ მოაკლდეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას, რაც უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევას გულისხმობს, აქტიურად ვუჭერთ მხარს. მერიაში შეგროვდა სხვადასხვა სახის არამალფუჭებადი საკვები პროდუქტი, ტანსაცმელი და სამედიცინო საშუალებები და ხარაგაულის სახელით უკრაინაში უკვე გაიგზავნა. გარდა ამისა, შემოწირულობების სახით, თანხა გროვდება მერიის მიერ შექმნილ სპეციალურ ანგარიშზე.“-აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

უკრაინელმა მოქალაქეებმა დიდი მადლიერება გამოხატეს ხარაგაულის მერისა და იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც მათ გვერდით დაუდგნენ და დახმარება გაუწიეს.

,,მადლობის სიტყვები ძალიან ცოტაა ჩვენი ემოციების გამოსახატავად. უფალი ფარავდეს უკრაინას და საქართველოს."- დასძინა ირინა კოსტენკომ.

შეგახსენებთ, რომ რუსეთი უკრაინაში 24 თებერვალს შეიჭრა და ბრძოლები უკრაინის რამდენიმე ოლქში ამ დრომდე მიმდინარეობს. დაიღუპა ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, დაინგრა საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები, სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა. დიდ იმედს ვიტოვებთ, რომ დროულად მოხდება აგრესორთა ზრახვების აღკვეთა. მშვიდობა და გამარჯვება უკრაინელ ხალხს!

ხარაგაულის საბავშვო ბაღებს ახალი სათამაშოები გადაეცათ

ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებამ მუნიციპალიტეტში მოქმედი 21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის ახალი სათამაშოები, შემეცნებითი ლიტერატურა და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსი შეიძინა.

სათამაშოების ახალი ფონდი მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, უშუალოდ დაათვალიერა და მათს ხარისხსა და საგანმანათლებლო დანიშნულებას, ბაღების გაერთიანების დირექტორ მამუკა ჭიპაშვილთან და მეთოდისტ თამარ ავალიშვილთან ერთად, გაეცნო.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის ბაღების გაერთიანება სათამაშოების ფონდის განახლებას ყოველწლიურად ახორციელებს.

როგორც მამუკა ჭიპაშვილი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, შესყიდვისას გათვალისწინებულ იქნა არსებული მეთოდოლოგიით განსაზღვრული თემატიკა და ასაკობრივი კატეგორიები. მისივე თქმით, სათამაშოები თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება და ჯანმრთელობისთვის უვნებელია.

საკრებულომ დეპუტატთა ხარჯების ანაზღაურების ახალი წესი დაამტკიცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დეპუტატების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ახალი წესი დაამტკიცა. ამიერიდან იმ დეპუტატებს, რომლებიც თანამდებობის პირები არ არიან, გაწეული ხარჯები ახალი დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად აუნაზღაურდებათ. როგორც დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა თვეში არა უმეტეს 676 ლარია, რომელსაც დეპუტატი მიიღებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისათვის, ასევე საკრებულოს, ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების სხდომებში მონაწილეობისთვის, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სხდომების საოქმო ჩანაწერებით.

შეგახსენებთ, რომ ამ დრომდე დეპუტატებს ხარჯებისათვის 397 ლარი ერიცხებოდათ.

ხარაგაულის მერიაში ორი ახალი განყოფილება შეიქმნა

ხარაგაულის მერიის სამსახურებში ორი ახალი განყოფილება შეიქმნა. ამის შესახებ დეპუტატებმა საკრებულოს სხდომაზე იმსჯელეს. საკითხი მათ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა გააცნო. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურში იქმნება ეკონომიკური განვითარების განყოფილება, შესყიდვების სამსახურში კი-სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება.

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ამბობს, რომ ამ ეტაპზე შტატების დამატება არ იგეგმება, ვინაიდან სამსახურში კადრების საკმარისი რესურსია. მისივე თქმით, ახალი განყოფილებები სამსახურების მუშაობას უფრო ეფექტურს გახდის.

წარმოდგენილ საკითხს დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს.

ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ახალგაზრდა პოეტთან შეხვედრა მოეწყო

ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შემოქმედ ახალგაზრდებთან შეხვედრა გრძელდება. ამჯერად კულტურულ-საგანმანათლებლო კერამ ნანა ჭანკვეტაძეს უმასპინძლა, სადაც წარმოდგენილი იყო პოეტის მრავალფეროვანი შემოქმედება. ნანა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალაფორეთის მკვიდრია. პოეზიისადმი მისი სიყვარული ადრეული ასაკიდან იწყება და ამჯერად უკვე 60-ზე მეტი ლექსისა და ჩანახატის ავტორია. ამბობს, რომ პირველი ლექსი 2008 წლის ომის თემაზე დაწერა, მეორე კი გმირ დედებს მიუძღვნა.

ღონისძიება საკმაოდ საინტერესო ფორმატში წარიმართა. პოეტმა წაიკითხა საკუთარი ლექსები, ჩანახატები, ისაუბრა სამომავლო გეგმებზე და დასძინა, რომ უახლოეს მომავალში კრებულის გამოცემას გეგმავს.

,,ასე საჯაროდ პირველად გავაცანი საზოგადოებას ჩემი შემოქმედება დატვირთული ვარ ემოციებითა და სიხარულით, დღევანდელი დღე მაძლევს მოტივაციას, კიდევ უფრო მეტი გავაკეთო და სულ წინ და წინ წავიდე". - აღნიშნა ნანა ჭანკვეტაძემ.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე ნანას შემოქმედებამ. ერთხმად აღინიშნა, რომ ის საკმაოდ ნიჭიერი და ერუდირებული ახალგაზრდაა.

ინფორმაციისათვის, ნანა ჭანკვეტაძე პროფესიით პედაგოგია და ამჟამად ფარცხნალის დაწყებით სკოლაში საქმიანობს.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ბილიკი უფლისკენ...

(პრეზენტაცია იზა ვეფხვაძის წიგნისა „ბილიკი უფლისკენ...“)

ვინ მოთვლის, ქართველთა წიგნიერებისა და, ზოგადად,ინტელექტუალური ყოფის რამდენი საამაყო ეპიზოდი უკავშირდება ამ უმშვენიერეს ისტორიულ სასახლეს (თბილისი, მაჩაბლის ქუჩა N13), რომელიც დიდ პატრიოტს, ჭეშმარიტ ერისკაცს,მეწარმესა და მეცენატს, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელს, დავით სარაჯიშვილს, აუგია. დღეს მის კედლებში საამაყო ტრადიციებს ღირსეულად წარმართავს ,,მწერალთა სახლის“ შემოქმედი თაობა .

რაოდენ საამაყოა ჩვენთვის, ხარაგაულელთათვის, რომ სწორედ მის უმშვენიერეს დარბაზში 2022 წლის 25 მარტს გაიმართა პრეზენტაცია ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებლისა და ხელმძღვანელის, ქალბატონ იზა ვეფხვაძის, საავტორო წიგნისა ,,ბილიკი უფლისკენ...“ ავტორმა წიგნი უძღვნა თავის სულიერ მოძღვარს, ხარაგაულის მადლიანი მიწის უკეთილშობილეს შვილს, აწ უკვე ზეციური საქართველოს ბინადარს, ბერმონაზონ მამა მათეს(გია ბუაჩიძე).

***

დარბაზს ეფინება სასიამოვნო ჰანგები...ანსამბლი ,,ხარაგაულის ხმები“ ასრულებს სიმღერის პრემიერას ,,ხარაგაულს“ (ტექსტის ავტორი მამა მათე (გია ბუაჩიძე),მუსიკისა-დალი მერაბიშვილი).

ორიოდე წუთი და დარბაზს ატყვევებს პრეზენტატორ იზა ვეფხვაძის ორატორული ხელოვნება.მსმენელთა თვალწინ ცოცხლდება ბერმონაზონ მამა მათეს (გია ბუაჩიძე) ამქვეყნიური ყოფის ეპიზოდები ადრეული ბავშვობიდან სიცოცხლის დასასრულამდე...დედა -ერთადერთი შვილის ბედნიერებისათვის თავდადებული ქალბატონი ლეილა კიკნაძე,რომელიც, ეკონომიური სიდუხჭირის მიუხედავად, ცდილობდა,მამით ადრე დაობლებული ბიჭი წუთისოფლის უსამართლობას კიდევ

უფრო მეტად არ დაეჩაგრა...

გია სულ პატარა, 2 წლისა და 6 თვის იყო, როცა მამა, გივი (გენადი) ბუაჩიძე, გარდაიცვალა. გივი გასული საუკუნის 40-50-იან წლებში გამორჩეულად ამშვენებდა ხარაგაულის საზოგადოებას, როგორც უნიჭიერესი ლოტბარი, მომღერალი, მოცეკვავე...

,,ხარაგაულის ხმებმა“ შეასრულა სიმღერა ,,გოგოს ვეპარებოდი“, რომელიც ხარაგაულში თაობიდან თაობას გადაეცა და კვლავ გადაეცემა, როგორც გამორჩეული სამუსიკო ხელწერა გივი ბუაჩიძისა...

როგორც ავტორმა აღნიშნა, წიგნი ,,ბილიკი უფლისკენ“, დროის თვალსაზრისით, ძალზე ექსტრემალურ ვადაში დაიწერა. სულ რაღაც 10-12 დღეში ქალბატონმა იზამ, უძილო ღამეების ფასად, შეძლო საჭირო მასალის თავმოყრა, უამრავ ადამიანთან დაკავშირება და მამა მათესთან მათი დამოკიდებულების დაფიქსირება. 80-გვერდიანი წიგნი რამდენიმე განყოფილებას შეიცავს: ავტორის მონათხრობი, მამა მათეს ლექსების რვეულიდან, მოგონებათა კრიალოსანი, ფოტოალბომიდან... (წარმოდგენილია 35 ფოტო).

უამრავმა დაინტერესებულმა პირმა ორსაათიანი პრეზენტაცია პირდაპირი ტრანსლაციით ნახა, ასევე შეხვდა წიგნის ავტორ იზა ვეფხვაძეს ტელეეკრანთან მედიაკავშირ ,,ობიექტივზე“, ცნობილ ჟურნალისტ ნინო მიქიაშვილის საავტორო გადაცემაში ,,მემკვიდრეობა“.

პრეზენტაციაზე ცრემლიანი იყო მსმენელთა ემოცია, როცა მამა მათეს შესრულებით სიმღერების ნაკრები მოისმინეს.

გვინდა, განსაკუთრებით შევჩერდეთ დეკანოზ თავმას ჩოხელის იზა ვეფხვაძისადმი მიძღვნილ ლექსზე ,,ქალო, ხარაგაულელო“. თავისთავად ლექსი, გამოსახვის მხატვრულ საშუალებათა სიუხვით, პოეტური შედევრია, რაც შესატყვისად აჟღერდა მამა მათეს მუსიკითა და ორიგინალური შესრულებით. თუმც გასაკვირი

არაფერია, მამა მათეს მუსიკით გატაცებაში მძლავრობს მამის, გივი ბუაჩიძის, გენი, უბადლო ნიჭიერება...დღეს ამ სიმღერას დიდი ოსტატობით ასრულებენ ცნობილი მომღერლები ზურაბ მანჯავიძე და ხვიჩა მაღლაკელიძე...

***

გამომსვლელებმა პრეზენტაციაზე ძალზე საინტერესო მოგონებებით გამოხატეს ის დიდი სითბო და სიკეთე, რასაც თავისი ზნემაღალი ბუნებითა და უფლის ბილიკებზე სვლით ასხივებდა მამა მათე...

გვინდა, მივმართოთ ბერმონაზონ მამა მათეს ღვთიურ სულს:

-ჩვენი ცოდვილი სულების ღმერთთან მავედრებელო, ნეტავ იცოდე, როცა შენი ამ ქვეყნიდან ნაადრევი განსვლის თავზარდამცემი ამბავი შეიტყო, როგორ გელოდა ჩასახუტებლად ხარაგაულის მკერდგახსნილი მიწა,უბისის მიწა...თუმცა არანაკლებია ის სიყვარული, რაც დაავანე უფლისადმი მსახურებით, შენი დიდი ძალისხმევით ნაფეტვრების წმინდა გაბრიელ აღმსარებლის სახელზე აგებული მონასტრის მრევლის სულსა და გულში,შენი სიცოცხლისათვის თავდადებული მზურნველის კახა მანჯავიძისა და ღვიძლი შვილის ტოლფასი შვილობილის კახა ბუაჩიძის ოჯახების წევრთა გულებში. ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს მათი კერა შენდამი უკიდეგანო ჰუმანური მზრუნველობისათვის...

ჩვენ კი, ხარაგაულელები, მუდამ ვილოცებთ იმ უწმინდესი მიწისთვის, რომელიც შენი მარადიული სავანე გახდა...

***

დარწმუნებული ვართ, წიგნი ,,ბილიკი უფლისკენ...“ მკითხველს გაუძლიერებს პატივისცემას უკვე 15 წიგნის ავტორის, ქალბატონ

იზა ვეფხვაძის, მიმართ, რომელიც დიდი ინტერესით აცოცხლებს ღირსეულ ხარაგაულელთა ცხოვრების თვალსაჩინო ეპიზოდებს, უფრო ახლოს გააცნობს ბერმონაზონ მამა მათეს მიერ ღრმად გავლებულ კვალს წუთისოფლის ხნულში და ერთხელ კიდევ შეგვახსენებს - ვინა ვართ, საიდან მოვდივართ და საით უნდა წავიდეთ...

გზა მშვიდობისა მკითხველთა გულებისაკენ, ადრე წასული კეთილი კაცის ცხოვრებაზე შექმნილო წიგნო!

ამინ!

P.S. გაცნობებთ, რომ აღნიშნული წიგნის პრეზენტაცია ხარაგაულში გაიმართება 28 აპრილს.

ეკა შავიძე
მერი გიორგიძე

სამუსიკო სკოლის საქმიანობა დაღებითად შეფასდა

4 აპრილს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ა(ა) იპ ,,სამუსიკო სკოლის“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მოისმინეს და დადებითად შეაფასეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა ლალი ალექსიძემ წარმოადგინა, რომელმაც დეტალურად ისაუბრა იმ ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ, რომლებიც მათივე ჩართულობით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა. სხდომა ძირითადად კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და დეპუტატებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი პასუხები გაეცათ.

ლალი ალექსიძის ინფორმაციით, სამუსიკო სკოლა ხარაგაულში 64 წელია, ფუნქციონირებს და ამ პერიოდის გან-

მავლობაში არაერთი ღირსეული თაობა აღუზარდა მუნიციპალიტეტს. ,,ჩვენი მიზანია, ახალგაზრდები ვაზიაროთ კლასიკური მუსიკის უმდიდრეს სამყაროს და, ვფიქრობ, ამ ყველაფერს ღირსეულად ვართმევთ თავს. სისტემატურად ვახორციელებთ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენას და მაქსიმალურად ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ მათი ცოდნის რეალიზებას. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი აღსაზრდელები სხვადასხვა ფესტივალსა და კონკურსში წარმატებით მონაწილეობენ, როგორც საქართველოში, ასევე-საზღვარგარეთ.“-აღნიშნა სხდომაზე ქალბატონმა ლალიმ.

როგორც მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ, სამუსიკო სკოლას 16 თანამშრომელი ჰყავს. სკოლაში ფუნქციონირებს: ფორტეპიანოს, ვიოლინოს, გიტარის, საესტრადო და ვოკალის განყოფილებები, რომლებშიც 83 მოსწავლე ირიცხება.

ფორტეპიანოსა და ვიოლინოს სწავლება ფასიანია და 90 ლარს შეადგენს წელიწადში. აღსანიშნავია, რომ სოციალურად დაუცველი 13 მოსწავლე სწავლის გადასახადისგან გათავისუფლებულია.

ქვეყანაში არსებულ კოვიდ პანდემიის პირობებში, საანგარიშო პერიოდში სამუსიკო სკოლა სწავლებას ახორციელებდა დისტანციურად. ასევე მათივე ორგანიზებით, რეგულაციების სრული დაცვით მოეწყო არაერთი ღონისძიება.

სამუსიკო სკოლამ 2021 წელს ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 125 000 ათასი ლარი მიიღო. აქედან 122 079 ათასი ლარი დაიხარჯა შრომის ანაზღაურებაზე, კომუნალურ მომსახურებაზე-1328 ლარი, კავშირგაბმულობაზე – 775 ლარი, საქონელი და მომსახურება – 2883 ლარი, მივლინება – 39 ლარი, სხვა დანარჩენი – 591 ლარი.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ფოტოგამოფენა - „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში” - მოეწყო

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში (ხელმძღვანელი ნინო დიდიძე) ფოტოგამოფენა -„დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“-გაიმართა, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში მუნიციპალიტეტში მოღვაწე ექიმ ქალბატონებს ეძღვნებოდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 15-ზე მეტი ქალი ექიმის ბიოგრაფია და ფოტომასალა, რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა დამთვალიერებლებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტში არაერთი გამორჩეული პიროვნება მოღვაწეობდა სამედიცინო სფეროში და ეს ადამიანები დიდი რუდუნებით ემსახურებოდნენ მშობლიურ მხარეს.

საინტერესოა ექიმ თინა კამკამიძის ბიოგრაფია, რომლის სახელსაც უკავშირდება ხარაგაულში საშიში დაავადებისმალარიის-დამარცხება. განსაკუთრებული ისტორია აქვს მინადორა ორჯონიკიძეს, რომელმაც სამედიცინო განათლება ჟენევის უნივერსიტეტში მიიღო. ის იყო პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დეკლარაციის ხელმომწერი და წითელი არმიის შემოჭრისას, ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა. პირველი რესპუბლიკის დაცემის შემდეგ იწყება მინადორა

ორჯონიკიძის მეტად ტრაგიკული ცხოვრება. დაუხვრიტეს მეუღლე, მალაქია ტოროშელიძე და შვილები-გიორგი და ლევანი. თვითონ დახვრეტას სამედიცინო განათლებამ გადაარჩინა, ვინაიდან ყაზახეთში, სადაც გადაასახლეს, ექიმები ძალიან სჭირდებოდათ.

გამოფენაზე წარმოდგენილ სხვა ექიმებს, მართალია, მსგავსი დრამატულ-ტრაგიკული ცხოვრება არ ჰქონიათ, მაგრამ ისინი თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობით გასცემდნენ ცოდნას და თავდაუზოგავად ემსახურნენ ხალხს.

ვფიქრობ, ეს ყველაფერი არის ძალიან დიდი შენაძენი ხარაგაულის ისტორიისათვის, რომელიც აუცილებლად უნდა გავაცნოთ მომავალ თაობას, რათა უფრო მეტად შევძლოთ მედიცინის სფეროს ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება.

მისასალმებელია, რომ ასევე მომავალში დაგეგმილია უფრო ფართომასშტაბიანი ღონისძიება, სადაც ხარაგაულელ ქალბატონებთან ერთად, მამაკაცი ექიმებიც იქნებიან წარმოდგენილნი.

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში გამოფენა ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

აქვე მოგახსენებთ, რომ მუზეუმი საინფორმაციო კატალოგის ელექტრონულ ვერსიაზე მუშაობს, სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია ადამიანებზე, რომლებიც ხარაგაულში მოღვაწეობდნენ და გარკვეული ღვაწლი მიუძღვით სხვადასხვა სფეროს განვითარებაში.

ეკა შავიძე

დეპუტატებმა მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის საქმიანობა დადებითად შეაფასეს

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მოისმინეს, რომლის შესახებ ამავე სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ ბანცაძემ ვრცლად ისაუბრა.

მომხსენებლის განმარტებით, საანგარიშო პერიოდში სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების დამტკიცება მოხდა 41 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტზე, მშენებლობის ნებართვის გაცემა კი-26 ობიექტზე. გარდა ამისა, განხორციელდა სამშენებლო პროექტების შეთანხმება 48 ობიექტზე. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2021-2022წწ. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლიდან ბიუჯეტში შემოსულია 90 539 ათასი ლარი.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, სამსახურის მიერ გამოვლინდა რამდენიმე სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი. კერძოდ, დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის N6-ში, მოქალაქე ჯაბა იჩქიტიძე სანებართვო პირობების დარღვევით ასრულებდა მიშენების სამუშაოებს, აღნიშნულთან დაკავშირებით მას მიეცა მითითება სათანადო ოქმის მეშვეობით. ამის შემდეგ შედგა შემოწმების აქტი და დარღვევები ამჯერად გამოსწორებულია.

ს.ს. „სილქნეტს“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კუთვნილ ღამის განათების ბოძებზე უნებართვოდ ჰქონდა განთავსებული 266 გრძ.მ კავშირგაბმულობის ხაზი და მოწყობილი ჰქონდა ერთი დამატებითი საყრდენი ბოძი, რაც ასევე გამოსწორებულია.

სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი დაფიქსირდა სოლომონ მეფის N94-ში, კერძოდ, შპს „ჯორჯიან ბეტონ გრუპმა“ მოქალაქე დავით თხელიძიდან იჯარით აიღო მიწის ნაკვეთი და უნებართვოდ ააშენა ბეტონის ქარხანა. სამართალდამრღვევს მიეცა მითითება, რომელიც არ შესრულდა და დაჯარიმდა 1000 ლარით.

დაბა ხარაგაულში დეკანოსიძის ქუჩა N3-ში, ლელა ხეცაძის კუთვნილ ბინაზე იყო გაცემული მიშენების ნებართვა. მშენებლობისას დაფიქსირდა სანებართვო პირობების დარღვევა, რაც მითითების შემდეგ გამოსწორდა.

გარდა ამისა, დარღვევები გამოვლინდა ბორითსა და უბისაში. მოქალაქე მამუკა მაღლაკელიძე თავის კუთვნილ შენობა-ნაგებობაზე აწარმოებდა უნებართვო გადახურვას, რაც აღმოიფხვრა. ასევე მალხაზ სახვაძემ თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განახორციელა 96 კვ. მ უნებართვო მშენებლობა, აღნიშნულთან დაკავშირებით მას მიეცა მითითება, რის შემდეგაც მოთხოვნილია სანებართვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ ყველა დაგეგმილ პროექტზე, შესაბამის სამსახურებთან და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შემოწმების მიზნით შექმნილ კონტროლის ჯგუფთან ერთად, განხორციელდა ზედამხედველობა შესასრულებელ სამუშაოებზე. სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, შეისწავლა და მოახდინა შესაბამისი რეაგირება მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე. გარდა ამისა, თანამშრომლები დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობის გარდა ჩართული არიან მერიაში არსებულ სხვადასხვა კომისიის მუშაობაში.

ანგარიშის გაცნობის შემდეგ დეპუტატებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური საკმაოდ აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობს. მათივე გადაწვეტილებით, წარმოდგენილი ანგარიში დადებითად შეფასდა.

საკრებულოს სხდომაზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მოისმინეს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ა(ა) იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში დადებითად შეაფასეს. საანგარიშო პერიოდი მოიცავდა 2021 წელს. საკითხი ამავე ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელმა მაია ბლუაშვილმა წარადგინა. ქ-ნ მაიას ინფორმაციით, „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში“ თოთხმეტი წრე ფუნქციონირებს და აქედან ფასიანი, მხოლოდ მუსიკალური სტუდიაა. რაც შეეხება სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს, გათავისუფლებული არიან გადასახადისაგან. მისივე თქმით, ამჟამად მოსწავლეთა სახლში 160 ბავშვი ირიცხება, როგორც დაბის, ასევე სოფლების სკოლებიდან.

„საანგარიშო პერიოდში, პანდემიის გამო, დაგეგმილი ღონისძიებებიდან ყველას ჩატარება ვერ მოხერხდა, თუმცა მაქსიმალურად შევეცადეთ, ღირსშესანიშნავი თარიღები უყურადღებოდ არ დაგვეტოვებინა. მოსწავლეთა სახლის ორგანიზებით, ქალთა და დედის დღეებს მიეძღვნა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საესტრადო სიმღერისა და ლიტერატურული წრის მოსწავლეები. მხარეთმცოდნეობის წრის წევრებმა დედამინის საერთაშორისო დღეს მიუძღვნეს აქტივობა „დედამიწა ჩვენი სახლია“, რომლის ფარგლებშიც შექმნეს ნახატები, დარგეს ნერგები, დაასუფთავეს სოფლის ჩანჩარის ტერიტორია. 19 აპრილს მოეწყო ასევე ღონისძიება „ეპატიჟეებით ფინჯან ჩაიზე“, პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა კულტურისა და

თავეს კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორია. 19 აპრილს მოეწყო ასევე ღონისძიება „ეპატიჟეებით ფინჯან ჩაიზე“, პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა კულტურისა და დასვენების პარკში, რომლის პარალელურად მიმდინარეობდა ხატვის კონკურსი და ხელთნაკეთი ნივთების გამოფენა. 24 ივნისს მოვაწყვეთ კლასიკური მუსიკის საღამო, სტუდია „ჰარმონიას“ ბავშვების მონაწილეობით. პეტრეპავლობის დღესასწაულზე კი ღომეეთის ეკლესიის ეზოში გაიმართა საესტრადო სიმღერისა და საეკლესიო საგალობლების წრის წევრების მონაწილეობით ღონისძიება.

ნოემბერში თბილისში, ეროვნულ სასახლეში, გაიმართა საერთაშორისო კინოფესტივალი „თბილისური აისი“, რომელზეც კინომოყვარულთა წრემ წარადგინა ფილმი „მარტოსული“. ნომინაციაში „საუკეთესო ფილმი ბავშვთა უფლებებზე“ გაიმარჯვა „მოსწავლეთა სახლის“ კინომოყვარულთა წრის ფილმმა და სპეციალური პრიზი და დიპლომი დაიმსახურა.“-აღნიშნა მაია ბლუაშვილმა.

როგორც ანგარიშში ვკითხულობთ, „მოსწავლეთა სახლის“ 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 112 743 ლარს, აქედან 111 497 ლარის სუბსიდია მიღებულ იქნა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 1 246 ლარი კი საკუთარი შემოსავალია.

2021 წელს შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 106 736 ლარი, საქონელი და მომსახურება-6007 ლარი.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში, „სპორტისა და ტურიზმის ცენტრის“ ორგანიზებით, ჭადრაკის ჩემპიონატი ჩატარდა

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრში“ (დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი) სპორტული ღონისძიებები რეკომენდაციების სრული დაცვით მიმდინარეობს. ამჯერად გოგონებსა და ვაჟებს შორის მუნიციპალიტეტის პირველობა ჩატარდა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობას დაბის N2, N3, ბორის, ვარძიის, ვერტყვიჭალისა და ღორეშის საჯარო სკოლების მოსწავლეები იღებდნენ. შეჯიბრი ორ ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობდა და გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა:

I-VI კლასი

I ადგილი-ნინო ხიჯაკაძე(ვარძიის საჯარო სკოლა);

II ადგილი-ლიზი კურტანიძე(N3 საჯარო სკოლა);

III ადგილი -ანასტასია ხარაბაძე(N2 საჯარო სკოლა);

I ადგილი -ლუკა კურტანიძე(ღორეშის საჯარო სკოლა);

II ადგილი - ზურაბ დუგლაძე(N2 საჯარო სკოლა);

III ადგილი - საბა ოკრიბელაშვილი (ვარძიის საჯარო სკოლა);

VI-XII კლასი

I ადგილი - გიგა ბერაძე (ბორის საჯარო სკოლა);

II ადგილი - დიმა ხიჯაკაძე(ვარძიის საჯარო სკოლა);

III ადგილი - ჯაბა ხიჯაკაძე (ვარძიის საჯარო სკოლა);

I ადგილი - ლიზი ავალიშვილი (ბორის საჯარო სკოლა);

II ადგილი - ნინო ლომიძე (ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა);

III ადგილი - ნანა ლომიძე(ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა).

ხარაგაულში შოთიკო ჭიპაშვილისა და ალეკო ავალიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა

სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის ორგანიზებით, ხარაგაულში ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდების -შოთიკო ჭიპაშვილისა და ალეკო ავალიშვილის- ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა მინიფეხბურთში.

შეჯიბრში მონაწილეობას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები იღებდნენ. ფინალურ შეხვედრაში კი ერმანეთს ბორითისა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის გუნდები დაუპირისპირდნენ, სადაც გამარჯვება გიმნაზიის გუნდმა მოიპოვა.

გამარჯვებულებს შოთიკო ჭიპაშვილისა და ალეკო ავალიშვილის სახელობის თასი გადაეცათ. გარდა ამისა, ჟიურიმ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული სპორტსმენები გამოავლინა. ადგილები ასე გადანაწილდა:

ანზორ ტალახაძე – საუკეთესო თავდამსხმელი;

ნიკოლოზ ნანიტაშვილი – საუკეთესო მეკარე;

ლუკა გაჩეჩილაძე – საუკეთესო გამთამაშებელი;

ნიკოლოზ ყრუაშვილი – საუკეთესო მცველი;

შოთა ვეფხვაძე – საუკეთესო ფეხბურთელი;

თეიმურაზ ზუმბაძე – პერსპექტიული ფეხბურთელი;

გიორგი ბუაჩიძე – ბომბარდირი;

ყურადღება, აუქციონი!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით, ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა.

კერძოდ, აუქციონზე გასაყიდად გავიდა ავტობუსი BOGDAN, მოდელი A, სახელობითი ნომერი WW435PP, რომლის საწყისი ღირებულება 21 000 ლარია;

აუქციონი 11 აპრილს გამოცხადდა და 26 აპრილს დასრულდება.

წინასწარი შესატანი „ბე-ს“ ოდენობაა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%.

გარდა ამისა, აუქციონი გამოცხადდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის მიზნით. იჯარით გასაცემი ობიექტებია:

სარიტუალო დარბაზი (სოფელი ღორეშა) - საწყისი წლიური საიჯარო ღირებულება-2300 ლარი;

სარიტუალო დარბაზი (სოფელი ბორითი)-საწყისი წლიური საიჯარო ღირებულება-3 400 ლარი;

მაღაზია N1 (სოფელი ღორეშა) - საწყისი წლიური საიჯარო ღირებულება-1200 ლარი;

მაღაზია N2 (სოფელი ღორეშა) - საწყისი წლიური საიჯარო ღირებულება-1200 ლარი.

აუქციონი 11 აპრილს გამოცხადდა და 18 აპრილს დასრულდება.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ, იხილოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: eauction.ge;

ვაკანსია

გაზეთი „ახალი ხარაგაული“ აცხადებს ვაკანსიას ჟურნალისტის თანამდებობაზე. დაინტერესებული პირი სასურველია პროფესიით იყოს ჟურნალისტი, ან ჰქონდეს ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. აუცილებელი მოთხოვნაა ფლობდეს ქართული ენის გრამატიკას-მართლწერის წესებსა და ნორმებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით გაზეთ „ახალი ხარაგაულის“ რედაქციას. მის: 9 აპრილის ქუჩა N 15. ტელ: 595 51 98 12;

„ჩვენი ასოთამწყობი, მხნე და გულით მართალი...“

ხარაგაულის სტამბა-რედაქციის კოლექტივი ყოველთვის გამორჩეული იყო ქვეყნისთვის ფრიად საჭირო საქმის მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულებით, მაღალი პროფესიონალიზმით, ურთიერთსიყვარულით. ისინი დიდი რუდუნებითი შრომით შთამომავლობისათვის ქმნიდნენ ხარაგაულისა და მისი საზოგადოების შრომითი და აღმშენებლობის პათოსით აღსავსე ისტორიის გაუხუნარ ფურცლებს. ეს ხომ ფასდაუდებელი განძია იმისათვის, რომ მომავალმა თაობამ სწორად შეაფასოს წინა თაობათაგან განვლილი გზა და სნორი ხედვით განსაზღვროს სამომავლო სივრცე.

ამ თბილი, ტკბილი და პროფესიონალი კოლექტივის ერთ-ერთ წევრზე დავაპირე მისი ღვაწლის ამსახველი პატარა წერილის გაზეთში გამოქვეყნება, არადა, ვიცოდი, რომ საკუთარ გარჯა-შრომაზე საუბრისას, მუდამ სიტყვაძუნწობდა... ეს პიროვნება ხარაგაულის „ძველი გვარდიის“ ერთი, მართლაც ფუტკარივით მადლიანი მუშაკი, ბატონი რამაზ ჩერქეზიშვილია. მან 1966 წლიდან ოცდარვა ნაყოფიერი წელი მოახმარა საინტერესო და მისთვის ძალიან საყვარელ საქმეს - იყო ასოთამწყობი, გაზეთის გვერდების დამკაბადონებელი, საამქროს უფროსი. აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო რაიონული საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე...

ბატონი რამაზი მუდამ ჩვეული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თითქმის სულ უმნიშვნელო საქმესაც კი, რადგან ეს თვისება მისი სულის მოთხოვნილებიდან, მისი შინაგანი ინტელექტიდან მომდინარეობდა. ამის შესატყვისია ის ჯილდოები, მადლობები, სიგელები და გულითადი მილოცვის ბარათები, რომლებიც კიდევ უფრო ალამაზებს და შთამბეჭდავს ხდის მის შრომითს ბიოგრაფიას.

ჩემს თაობას და უფრო ახალგაზრდებსაც, კარგად ახსოვს ბატონი რამაზის მშობელი მამა - აწ განსვენებული ლევან ჩერქეზიშვილი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, უამრავი ორდენითა და მედლით მკერდდამშვენებული, ომის ქარცეცხლში დაინვალიდებული, ამაყად, ღიმილიანი სახით რომ იდგა ყოველ 9 მაისს, გამარჯვების დღეს, ხარაგაულში დიდების მემორიალთან და თანამოძმე ვეტერანებთან ერთად, მშვიდობას უსურვებდა ყველა ხარაგაულელს...

* * *

ამას წინათ, ძველი გაზეთების თვალიერებისას, რაიონული გაზეთის უნიჭიერესი კორესპონდენტის აწ განსვენებული ზაირა აბაშიძის წერილს წავაწყდი სათაურით „ჯარისკაცი, შვილი ყოფილი ჯარისკაცისა“ (იხ. გაზეთი „ლენინის დროშით,“ სამშაბათი, 25 თებერვალი, 1969 წელი, N24 (2852). სურათიდან სამხედროფორმიანი ჭაბუკი - რამაზ ჩერქეზიშვილი - შემოგვყურებს. გთავაზობთ ამონარიდს წერილიდან:

... რედაქციაში წერილი მოვიდა... სამხედრო ნაწილიდან გამოგზავნილი ბარათი ხელიდან ხელში გადადის, ყველას გვიხარია... არც ისე დიდი ხანია, რაც მასზე გამოხატული ლამაზი ჭაბუკი ჩვენთან იყო, ჩვენი კოლექტივის ცხოვრებით ცხოვრობდა, ენერგიას არ იშურებდა ჩვენი გაზეთის საკეთილდღეოდ. უყვარდა მშობლიური გაზეთი - ასოთამწყობიც იყო, გვერდის დამკაბადონებელიც და მბეჭდავიც. დილის ცხრა საათიდან იწყებდა გაზეთზე ზრუნვას და უკანასკნელი ეგზემპლარის ჩამობეჭდვამდე თავს დასტრიალებდა მას, შეჰხაროდა ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალს...

რამაზი სტამბაში საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მოვიდა სამუშაოდ...

გულთბილად გავაცილეთ საბჭოთა არმიის რიგებში და ახლა იქ, რუსეთის შორეულ მინაზე, პირნათლად იხდის ვალს ჯარისკაცი რამაზ ჩერქეზიშვილი, შვილი ყოფილი ჯარისკაცისა...

აღელვებული დასცქერის ბარათს მამა, ომის ვეტერანი ლევან ჩერქეზიშვილი და წამიერად ჩაიქროლებს მის თვალწინ ომის საშინელებანი, ომისა, რომელმაც ფეხი დააკარგვინა ლევანს და ინვალიდად დააბრუნა ხარაგაულში...

დასცქერის ბარათს და ღიმილს ცრემლები ენაცვლება. სჯერა ნაომარ კაცს, რომ მისი შვილი მუდამ პირნათელი იქნება სამშობლოსა და ხალხის წინაშე.“

აბა, ამაზე უკეთესად რა უნდა დამეწერა ან შვილზე და ან მამაზე...

სავალდებულო - სამხედრო სამსახურის შემდეგ რამაზ ჩერქეზიშვილი კვლავ თავის კოლექტივს დაუბრუნდა. უფრო მეტიც - დაოჯახების შემდეგ მეუღლე ჟუჟუნა ჩერქეზიშვილიც თავის საყვარელ პროფესიას აზიარა და ორივენი ერთად წლების განმავლობაში ღირსეულად ედგნენ ბურჯებად ბეჭდვით სიტყვას.

რამაზ ჩერქეზიშვილი - ორი შვილის მამა და ხუთი შვილიშვილის ბაბუა - მეუღლესთან ერთად ფარცხნალის მინაზე დამკვიდრდა და სიალალით, პატიოსნებითა და შრომისმოყვარეობით ფარცხნალელთა საიმედო მეზობელი გახდა. 74 წლის კარგ ქართველს ბევრი აქვს სასიამოვნოდ მოსაგონარი და შთამომავლობისთვის გადასაცემი...

წერილი მინდა, დიდი გალაკტიონის ერთი ცნობილი ლექსის სტრიქონებით დავასრულო, რომელშიც კარგად ჩანს იმ საქმის სრულყოფილი შეფასება, რომელსაც ღირსეულად ემსახურებოდა ხარაგაულის სტამბა - რედაქციის დამსახურებული მუშაკი - რამაზ ჩერქეზიშვილი.

„ჩვენი ასოთამწყობი,
მხნე და გულით მართალი,
აქ დგა, სანაპიროზე,
როგორც მთავარსარდალი!..“

ჭეშმარიტად!

მერი ბიორგიძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი

დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12